„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2018 * (4)41

26 მაისი საზეიმოდ აღინიშნა

ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა. 26 მაისი ოქროს ასოებითაა შეტანილი საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკამ მხოლოდ სამიოდე წელი იარსება, ამ პერიოდშიც კი უდიდესი ძვრები მოხდა ახალგზრდა რესპუბლიკის ცხოვრებაში, ქვეყნის აღმასვლა მაშინათვე შესამჩნევი გახდა და არაერთმა დიდმა მამულიშვილმა თავისი ცოდნა, გამოცდილება საქვეყნო საქმეს მოახმარა. ქართველთა პატრიოტიზმმა შეუძლებელი შეძლო _ ისინი ერთდროულად უმკლავდებოდნენ ქვეყნის მოსაზღვრე სახელმწიფოთა ერთდროულ შემოტევებსაც და ეროვნული თვითმყოფადობა _ დამოუკიდებლობა დიდ იმედებს აჩენდა ერში.

ამა წლის 26 მაისს მთელმა საქართველომ იზეიმა პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნის დიდი საიუბილეო თარიღი. იგი მრავალი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურთა სტუმრობასა და მისალოც წერილებშიც გამოიხატა. ამ დღეს ერმა კიდევ ერთხელ მიაგო ღირსეული პატივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ თავდადებულ გმირებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დამოუკიდებლობა მოგვეპოვებინა.

ეს დღე საზეიმოდ აღინიშნა ასპინძის მუნიციპალიტეტშიც. კულტურისა და დასვენების პარკში საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **მამუკა მელიქიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის

წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს. ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ხვილიშის წინამძღვარმა _ დეკანოზმა **მამა ზოსიმემ** მემორიალთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. მანვე ღრმაშინაარსიანად იქადაგა და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა თავდადებას ღირსეული პატივი მიაგო. პარალელურად ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ რამდენიმე ხალხური სიმღერა და საგალობელი შეასრულა, ხოლო ასპინძის მერმა დამსწრე საზოგადოებას სულითა და გულით მიულოცა ეს დიდი ეროვნული დღესასწაული და ისაუბრა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს პერიპეტიებსა და მის მნიშვნელობაზე. აღნიშნულ საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე მებრძოლი ომის ვეტერანები. ბატონმა როსტომ მაგრაქველიძემ მათ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და საჩუქრად 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამიდან“ გათვალისწინებული ფულადი ჯილდო _ თითოეულს 250 ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც ესტუმრნენ და საჩუქრად თითოეულ მათგანს 300 ლარიანი ვაუჩერი გადასცეს.

საზეიმო ღონისძიებამ შემდეგ კულტურის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც ამ დღისადმი მიძღვნილი დიდი სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა. ასევე ამ დღეს მიეძღვნა სპორტული შეჯიბრება მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და მოქმედი ორგანიზაციადაწესებულებების გუნდებმა.

ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღნიშნეს

70 წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს გაერთიანებულმა ძალებმა, უდიდესი მსხვერპლის ფასად, დაამარცხეს კაცობრიობის უდიდესი მტერი – ფაშიზმი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ესოდენ დიდი ომი, ომი, რომელმაც მსოფლიოს გეოგრაფიული რუკა და ხალხთა ბედი სრულიად შეცვალა. ამ უდიდეს მსოფლიო ომში თავისი სიტყვა ქართველმა ხალხმაც თქვა, ერთმა მუჭა ერმა, რომელმაც, პროცენტულად, ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო, ყველაზე მეტმა მეომარმა, ოფიცერმა და უმაღლესი რანგის მხედართმთავარმა მიიღო მონაწილეობა. რომ არა ქართველების წილი, როგორც არ უნდა შევალამაზოთ ამ ომის ისტორია, მსოფლიო დღეს, შესაძლოა, სრულიად სხვაგვარი ყოფილიყო.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებას, მიუხედავად ზოგიერთ ურაპატრიოტ ქართველთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, მაინც უდიდესი ზარზეიმით აღნიშნავს მსოფლიო ხალხთან ერთად სრულიად საქართველო და, რა თქმა უნდა, ჩვენი მუნიციპალიტეტიც. რაოდენ სამწუხაროა, რომ, მთელ საქართველოში ამ უდიდესი ომის რამდენიმე ასეული მონაწილე, ხოლო ასპინძის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი ცოცხალი მემატიანე შემოგვრჩა, – სოფელ ვარგავში **ჟორა ლაზარაშვილი** და ჭობარეთში – **აკაკი ზედგინიძე.**

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს – 9 მაისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ,** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები მოინახულეს, ფაშიზმზე გამარჯვების

დღე მიულოცეს, გადასცეს მისალოცი ბარათები და პირად ანგარიშზე ჩაერიცხათ 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული მიზნობრივი ხარჯით – ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით“ გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება – თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

სასწავლო წელი დამთავრდა, წინ დიდი პერსპექტივები გველის

გასულ სასწავლო წელს საქმიანობას წარმართავდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების საფუძველზე შემუშავებული წლიური სამოქმედო გეგმისა და იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომელიც დგას განათლების სისტემისა და, კერძოდ, რესურსცენტრისა და მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების წინაშე.

ეს გულისხმობს, პირველ რიგში, სკოლისათვის ღირსეული ფუნქციის დაბრუნებას და იმ გამოწვევებისა და ინიციატივების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს სკოლების საქმიანობის წარმართვას გაუმჯობესებული სახელმძღვანელოებით ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდას, მოსწავლეთა აქტივობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას, მასწავლებელთა მოტივაციას, პროფესიულ სრულყოფას, ურთიერთ თანამშრომლობას, არაქართულენოვან სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებას, ინკლუზიას, სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში სკოლების ჩართვას, სკოლების საჭიროებების გამოვლენასა და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან შუამდგომლობას და ა.შ.

წლის განმავლობაში სკოლები აქტიურად მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებსა და კონკურსებში, ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში, სპორტულ და სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადში, მედიაპროექტ ,,ეტალონში", ორგანიზება გავუკეთეთ საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობას საზაფხულო ბანაკებში და სხვ.

გასულ წელს 12 საჯარო სკოლაში წარმატებით განხორციელდა 27 პროექტი თავისუფალი გაკვეთილების პროგრამის ფარგლებში. სკოლების ერთი ნაწილი წელსაც ჩაერთო სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამაში. ახლახან დაფინანსდა ოშორისა და ნაქალაქევის საჯარო სკოლების მიერ წარდგენილი პროექტები – ,,კინო სკოლაში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო სკოლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული პროგრამა – ,,მოვუსმინოთ მოსწავლეებს“. ყველა საჯარო სკოლაში შევხვდით მოსწავლეებს და დავინახეთ მათი მიდგომა სკოლასა და სოციუმში არსებული ძალადობისა თუ ბულინგის პრობლემისადმი, მოვისმინეთ მათი აზრები პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ბავშვებმაც და უფროსებმაც ბულინგის აღმოსაფხვრელად და აგრესიის დონის დასაწევად.

დასრულდა გამოსაშვები გამოცდები საჯარო სკოლებში. გამოცდები ცენტრალიზებულად, ინსტრუქციის შესაბამისად მიმდინარეობდა საგამოცდო ცენტრებად შერჩეულ ყველა სკოლაში. გამოცდებში მონაწილე 116 კურსდამთავრებულიდან საშუალო განათლების ატესტატს მიიღებს 84 პროცენტი. თუმცა არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ, როგორც გასულ წელს, წელსაც ყველაზე მეტი ჩაჭრილი გვყავს ინგლისურ ენასა და მათემატიკაში.

როგორც წინა წლებში, წელსაც გვყავს ოქროსა და ვერცხლის მედლის რამდენიმე კანდიდატი.

ახლახან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა საზოგადოებას წარუდგინა განათლების სისტემის სამოქმედო გეგმა, რომელსაც ,,12 ნაბიჯი ხარისხიანი განათლებისაკენ“ ეწოდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიის ამოსავალი პრინციპია ხარისხზე ზრუნვა. ზოგადი განათლების ხარისხის მთავარი განმახორციელებელი, მთავარი პერსონა არის მასწავლებელი, რომელზეც დამოკიდებულია სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და საბოლოო შედეგი.

რესურსცენტრის ყურადღების ცენტრშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებელთა შეფასების პროცესი. სისტემატური კავშირი გვაქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორებთან, მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე კონსულტაციას ვუწევთ საჯარო სკოლების შეფასების ჯგუფებს, პედაგოგებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხებზე. ვეხმარებით ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგების ორგანიზებაში, როგორიცაა ლიდერობის აკადემიის ტრენინგები დირექტორებისა და ფასილიტატორებისათვის, საგნობრივი ტრენინგები ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების, ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის, ტრენინგები შეფასების ჯგუფებისათვის და სხვ.

ტრენინგები გაიარეს სპეციალურმა მასწავლებლებმა, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის პედაგოგებმა, სკოლის დირექტორებმა, ყველა სკოლის შეფასების ჯგუფის წარმომადგენელმა.

სამინისტროს სტრატეგიის სხვა სიახლეებთან ერთად განსაკუთრებით გამოვყოფდი სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, რომელიც ახალ ფუნქციას ანიჭებს სოფლის სკოლებს. ,,სოფლის სკოლების ახალი სიცოცხლე“ – ასე ჰქვია პროგრამას, რომლის მიხედვითაც სკოლები უნდა გახდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები თითოეულ სოფელში. მათ საქმიანობაში ჩართული იქნება მო-

დასასრული მე–2 გვ.

სასწავლო წელი დამთავრდა, წინ დიდი პერსპექტივები გველის

პირველი გვერდიდან

სახლეობის ყველა ფენა. აქ გაიმართება კულტურული ღონისძიებები, დამკვიდრდება სწავლის ახალი პრინციპი.

2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდა მირაშხანის, ანყვიტის, საროს, ჭობარეთის, იდუმალის, ოთის, დამალის, ნიჯგორის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაგეგმილია ახალი სკოლის მშენებლობა ორგორაში, აქ უკვე დასრულდა ხანძრისაგან განადგურებული ძველი შენობის დემონტაჟი. მერიის დაფინანსებით დასრულდება სამედიცინო კაბინეტის მოწყობა ოშორის საჯარო სკოლაში. შევნიშნავ, რომ ამჟამად კეთილმოწყობილი კაბინეტები და სკოლის ექიმი ემსახურება დამალის, ოშორის, ნაქალაქევის, დაბა ასპინძის საჯარო სკოლებს.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საჯარო სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ხელშეწყობა. სულ მოქმედებს 14 მიმართულება პროგრამაში ჩართულ 10 საჯარო სკოლაში.

სამინისტროს ინიციატივითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით დაიგეგმა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ნაქალაქევის, დაბა ასპინძის, ოშორის, ივერიის, ტოლოშის, საროს, დამალის საჯარო სკოლების ნაწილობრივ რეაბილიტაციას.

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი – 2018" ასპინძაში

ნინო მელიქიძე

გოჩა ტყეშელაშვილი

საქართველოში ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისთვისაც ცნობილი არ იყოს სატელევიზიო პროექტი „ეტალონი", რომელიც უპირველესად ითვალისწინებს ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას სწავლა-განათლების მიღებისათვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, წლებია ამ პროექტში აქტიურად არიან ჩართული ასპინძელი მოსწავლეებიც. 10 მაისს ასპინძის საჯარო სკოლაში, ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი – 2018" გაიმართა.

ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტში „ეტალონის" ტიტულის მოსაპოვებლად ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 74 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.

თამაში საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. კონკურსი 20 კითხვისაგან შედგებოდა, ხოლო თითოეული შეკითხვა 5 ქულით ფასდებოდა. დაძაბული დაპირისპირების შედეგად 2017-2018 სასწავლო წლის გამარჯვებული, 70 ქულით, ასპინძის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე **ნინო მელიქიძე** გახდა. მეორე ადგილზე – 68 ქულით ხიზაბავრის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე **თორნიკე მექოშვილი**, ხოლო მესამეზე ადგილზე, 67 ქულით – ძველის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე **გიორგი ზედგინიძე.**

ამ გამარჯვებით ნინო მელიქიძემ ქალაქ თბილისში კონკურსის დიდ საფინალო ასპარეზობაში ასპინძის სახელით ჩართვის უფლება მოიპოვა. ნიშანდობლივია, რომ ასპინძაში გამართულ „ეტალონი – 2018"-ის პროექტის მიმდინარეობას ესწრებოდა ამ პროექტის ხელმძღვანელი ბატონი **გოჩა ტყეშელაშვილი,** რომელმაც ყველა გამარჯვებულს მიულოცა წარმატება და გამოთქვა იმედი, რომ რესპუბლიკურ შემაჯამებელ კონკურსში ნინო მელიქიძე კვლავ ასახელებს მშობლიურ სკოლას.

ღონისძიებას გულშემატკივრებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით პაპაშვილი,** მოადგილე **ლევან ბერიძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი – 2018" ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერითა და ორგანიზებით გაიმართა.

სოფელ რუსთავში საძირკველი ჩაეყარა ეკლესიის მშენებლობას



იყო დრო, როდესაც ეკლესიის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება გვქონდა, როცა საბჭოთა სისტემამ ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადა და ჩვენი უდიდესი სიწმინდეები უფუნქციოდ დარჩნენ. აქ აღარც ლოცვა აღევლინებოდა, აღარც ნათლობები ტარდებოდა და, საუბედუროდ, მათი დიდი ნაწილი არადანიშნულებისამებრ – კოლმეურნეობების საწყობებად იყო გადაქცეული. დრო შეიცვალა, სისტემამ ჩაილურის წყალი დალია, ხალხმა დიდი ხნის ნანატრი ოცნება აისრულა და ეკლესიისაკენ ქნა პირი. აღდგა ასობით სალოცავი, აშენდა ამდენივე ახალი ტაძარი, სამლოცველოები. დღეს, საქართველოში, იშვიათია ქალაქი, სოფელი, სადაც არ იდგეს წმინდა ტაძრები და არ მიმდინარეობდეს რელიგიური რიტუალები. თუმცა, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჯერ კიდევ არიან ჩვენს გარშემო გარკვეული შავბნელი ძალები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ეკლესიის როლის დაკნინებას. თვით ეკლესიის წიაღშიც –სინოდშიც დიდი ვნებათაღელვაა, – შური, მტრობა და დაპირისპირება მძლავრობს, მაგრამ ქართველი ერის ჭეშმარიტი უდიდესი ნაწილი ქრისტიანული მრწამსის ერთგული რჩება, – ეკლესიაში ხედავენ ერის მომავალს, ხვალინდელ დღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ქარტეხილების შედეგად რიგ დასახლებულ ადგილებში არ არსებობენ წმინდა სალოცავები, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მორწმუნეებს ჰქონდეთ თავიანთი სალოცავები და, წინაპართა მსგავსად, აღავლინონ ქრისტეს სადიდებელი ლოცვები.

სოფელი რუსთავი, დიდი შოთა რუსთაველის ნაკვნარი, იყო დრო, როდესაც ათასი ჯურის მომხვდურმა გადათელა, გააპარტახა, გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანებით შეავსო, დაასახლა და, ბედის ირონიით, ყოველივე ქართული, ეროვნული, მოსპო, წაშალა. მხოლოდ რამდენიმე ნაეკლესიარი და ნაციხარი თუ მიუთითებს აქ ქრისტიანულ კვალზე.

გავიდა დრო. ისტორიამ ყველაფერი გადააფასა, ახლა, ამ მიწაზე, ისევ ქართველთა „ისმის აქ ჟრიამული", ქართული სული ისევ ზეობს ამ წმინდა – წინაპართა სისხლით ნაპოხ ქართულ მიწაზე და ისევ ითხოვს იგი სულიერების ტაძარს, რათა ისევ ისმოდეს ქართული საგალობლები, ისევ აღევლინებოდეს წინაპართა სადიდებელი ლოცვანი.

სწორედ ამიტომ, ამა წლის 12 მაისს, სოფელ რუსთავში წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რომლის საზეიმო კურთხევის წესი აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ. სიმბოლურია, რომ ეკლესიის საძირკვლის კურთხევა დაემთხვა საქართველოს განმანათლებლის, წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს და მეუფემ ეს დიდი დღესასწაული გულითა და სულით მიულოცა მრევლს და დალოცა ისინი..

რაოდენ დასაფასებელი, უმნიშვნელოვანესი და მისაბაძია ის ფაქტი, რომ ამ დიდი საშვილიშვილო საქმის – სოფელ რუსთავში წმინდა სალოცავის აგების ინიციატორი ამ სოფლის მკვიდრი დემურ ინასარიძეა, რომელიც მთლიან ხარჯს საკუთარ თავზე იღებს. მადლობა ღმერთს, რომ კვლავ არიან საქართველოში სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მსგავსი პატრიოტი ადამიანები.

ეკლესიის კურთხევას, სოფლის მრევლთან ერთად, ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

საკუთარი ინფორმაცია

კეთილმოწყობილი გზები უკეთესი ცხოვრების საწინდარია!



ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ უკანასკნელი რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტში ბევრი რამ კეთდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. იყო დრო, როდესაც დაბაში მხოლოდ რამდენიმე ცენტრალური ქუჩა თუ იყო მოასფალტებული და რამდენიმეზე ქვაფენილი იყო დაგებული. სასოფლო გზების აბსოლუტური უმრავლესობა – მოუწესრიგებელი, რის გამოც ძნელდებოდა სოფლებთან კავშირი და ტრანსპორტით უსაფრთხო მოძრაობა. ამჟამად ამ მიმართებით ძალზე ბევრი რამ კეთდება და, ცხადია, უახლოეს მომავალში არ დარჩება არც ერთი სოფელი, დაბაში არცერთი ქუჩა, რომელიც მოუწესრიგებელი და მოუვლელი იქნება. დღეისათვის დაწყებულია და უახლოეს პერიოდში დასრულდება დაბის რამდენიმე ქუჩის მოასფალტება (ზოგან ბეტონის გზა დაიგება).

დასასრულს უახლოვდება სოფელ ოთასთან დამაკავშირებელი გზის მესამე ეტაპიც. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა 3,6 კილომეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის გზა, რომლის საპროექტო ღირებულება 734 576 ლარს შეადგენს. სამუშაოებს აწარმოებს სამშენებლო კომპანია შპს. „როუდ სოლუშენსი." ამასთან, მალე დასრულდება მირაშხანის გზის მოასფალტების სამუშაოებიც, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ასტორია" აწარმოებს.



ბოლო ზარი

დილიდანვე არ წყდებოდა ჟრიამული ასპინძის საჯარო სკოლის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. ლამაზად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდები სულ სხვა ამპლუაში წარსდგნენ იმ დღეს მშობლიურ სკოლაში, სადაც თორმეტი წლის განმავლობაში ესხდნენ ამავე სკოლის მერხებს, დაეუფლნენ შესაბამის ცოდნას და მიიღეს სათანადო გამოცდილება მომავალი ცხოვრებისათვის. 17 მაისს ასპინძის საჯარო სკოლაში მეთორმეტე კლასელებისათვის ბოლო ზარი დაირეკა.

მეთორმეტე კლასელების მიერ მომზადებულ ღონისძიებას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა მელიქიძე** ესწრებოდნენ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, სკოლის დირექტორმა **კლარა ზედგინიძემ** და, ანალოგიურად დამამთავრებელი კლასის პირველმა მასწავლებლებმა მეთორმეტე კლასელებს სკოლის დამთავრება და მომავალი წარმატებები უსურვეს.

ამავე დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მინვეულები იყვნენ სოფელ დამალის საჯარო სკოლაში ანალოგიურად გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე და სკოლის კურსდამთავრებულებს მიულოცეს ცხოვრების დამოუკიდებელ გზაზე გასვლა.

დიდი მწერალი მარად უკვდავია!

საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება წიგნისა და ბიბლიოთეკარის კვირეული. ამა წლის 4 მაისს ამ დღეს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამაც (ბიბლიოთეკარები **ცირა საქიძე, ნელი გოგოლაძე, დიანა დათაშვილი**) მიუძღვნა შესანიშნავი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – „მზიანი გულის მოძღვრება“, რომელიც დიდ ქართველ მწერალს **ნოდარ დუმბაძეს** მიეძღვნა.

თანამედროვეობის დიდ ქართველ მწერალს, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე, „მზიანი გულის მწერალს“ უწოდებდნენ. მას მიმდინარე წლის 14 ივლისს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა, რომ არა მისი უეცარი და უდროო გარდაცვალება, ვინ იცის, კიდევ რამდენ ნაწარმოების შექმნას მოასწრებდა თავისი თაყვანისმცემლების გულის გასახარად,

ღონისძიება თავიდანვე მხიარული განწყობით დაიწყო. მონიტორზე აჟღერდა მის ლექსებზე შექმნილი საბავშვო სიმღერა „სათვალე“. რომლის ფონზე ყველაზე აქტიურმა და პატარა მკითხველებმა გააცეცნარეს მწერლის საბავშვო ლექსი „ლალი და მანანა“, წარმოადგინეს აგრეთვე სხვა ლექსებიც, რომლებიც მხატვრულად წაიკითხეს **თამარ ცინაძემ, მზია დათაშვილმა, ანა მურადაშვილმა, თიკო შალიკაშვილმა, თინათინ ბირჩაძემ, მარი ზაზაძემ, ლელა** და **კესო ფოცხვერაშვილებმა.**

ამ შესავლის შემდეგ ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა მისი ორგანიზატორი **ნელი გოგოლაძე.** მან აღნიშნა, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება საკმაოდ ვრცელი და ორიგინალურია, მასზე ბევრი დაწერილა, თუმცა ამ ერთი ღონისძიებით მისი წარმოდგენა ძალზე რთული და შეუძლებელიცაა, არ შეიძლება მწერლის ღირსება, გენიალობა, ცხოვრება და შემოქმედება, ერთ ჩარჩოში მოაქციო. მასზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ მაინც შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი ასე ლამაზად მიგვეტანა მაყურებლამდე. ღონისძიების მიზანი იყო ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა ყველასათვის საყვარელი მწერალი და მკითხველისათვის გაგვეჩინა სურვილი, დაუზარებლად იკითხოს მისი დიდებული ნაწარმოებები.

საინტერესოდ წარმოადგინეს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების განვლილი გზა წამყვანებმა – **მარი მელიქიძემ** და **თამაზ ლონდარიძემ.** დიდი პოეტის ლექსები წაიკითხეს **მანანა ზედგინიძემ, მართა ივანიძემ, ქეთევან ზედგინიძემ, ამირან კალანდაძემ, ჯარჯი და ლევან მაგრაქველიძეებმა, ლუკა ბერიძემ.**

მაყურებლისათვის მეტად სასიამოვნო და ამაღლებული აღმოჩნდა ამონარიდები მწერლის ნაწარმოებებიდან, რომელიც წაიკითხეს **ნელი გოგოლაძემ, ნიკა ბერიძემ** და **ალეკო დიაკონიძემ.** მაყურებელი გაახალისა წარმოდგენილმა სცენამ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“) – „სიმწიფის ატესტატი“, რომელიც თეატრალურად წარმოადგინეს და-ძმებმა – **მერი, გიორგი** და **ნიკა შემაბერიძეებმა** და **დავით წამალაიძემ.** ასევე საინტერესოდ იქნა წარმოდგენილი სცენები სპექტაკლიდან – „თეთრი ბაირაღები“ **ალეკო დიაკონიძისა** და **თორნიკე** მაზაშვილის მიერ.

მაყურებელს წარუდგინეს ვიდეო მასალები ნოდარ დუმბაძის ბავშვობისდროინდელ შეცდომებზე, ჟურნალისტებისათვის მიცემული ინტერვიუებიდან, რომელიც შემდგომში მისი ცხოვრების მეგზურად და მაგალითად იქცა. ასევე, მისი სიკვდილის წინ, რამდენიმე დღით ადრე, მეგობრებთან ერთად ნამღერი – „სიკვდილი ვერას დაგვაკლებს“, რომელმაც მაყურებელს სევდა და ცრემლები მოჰგვარა.

ღონისძიებას თან სდევდა ვიდეო მასალები მისი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. შესრულებული იქნა მის ტექსტზე დაწერილი სიმღერა „მე თბილისელი ბიჭი ვარ“.

ღონისძიების მომზადების ორგანიზებაში ორგანიზატორებს დიდი დახმარება გაუწია კულტურის სათეატრო ხელოვნების ხელმძღვანელმა **მარეხ დათაშვილმა,** ხოლო მუსიკალურად გააფორმეს ანსამბლ „წუნდის“ წევრებმა **ბექა ზედგინიძემ** და **თამაზ ლონდარიძემ,** აგრეთვე ვოკალისტმა **მზია კოხრეიძემ,** ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა **ხატია გიორგაძემ** და **ცირა საქიძემ.**

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებისთვის და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს **ავთანდილ ბერიძეს** – ღონისძიების მონაწილეთა დასაჯილდოებლად წიგნების გადაცემისათვის.

ასევე მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების უფროსს **ოთარ ცინაძეს** და **ნელი ბერიძეს** ღონისძიების ტექნიკური მხარის მოგვარებისათვის,

წიგნისა და ბიბლითეკარის კვირეულს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე** და ადგილობრივი თვითმმართველო ორგანოს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

ნინო ბერიძე,
ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

თამარობა ასპინძაში

ყოველწლიურად საქართველოში საზეიმოდ არაერთი მნიშვნელოვანი დღე აღინიშნება, ეს იქნება საერო თუ საეკლესიო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი ერი, მიუხედავად დროის ცვალებადობისა და მრავალი საკითხის გადაფასებისა, თავის რჩეულ ადამიანებს არასოდეს არ ივიწყებს და ეს არცაა გასაკვირი – ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა გაისიგრძეგანონ, რომ ჩვენ არა ვართ გუშინდელი ერი, რომლის ისტორია ორიოდე საუკუნეს რომ ითვლის, ჩვენ ორმოცდაათასაუკუნოვანი ერი ვართ, რომელმაც დღემდე მოაღწია, არ გადაშენებულა და არც არასოდეს გაქრება რუსთაველისა და თამარის, დავით აღმაშენებელისა და გიორგი ბრწყინვალეს დამბადებელი ერი.

თამარობა იმ ერთ-ერთი დღესასწაულთაგანია, რომლითაც პატივს მივაგებთ ჩვენს დიდ მეფეს, რომელმაც ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში შეძლო დემოკრატიულ პრინციპებზე ემართა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქართული სახელმწიფო, მისი ბადალი ხომ მსოფლიო ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელები არიან.

საქართველოში იმდენი პატივი და დაფასება არცერთ მეფეს არ რგებია, რამდენიც თამარს. ამიტომ ჭეშმარიტი ქართველი ერი ყოველთვის ეთაყვანება დიდ მეფეს, რადგან იგი ქართველი ქალის მარადიული სიმბოლოა.

14 მაისს, წმინდა თამარ მეფის ხსენების დღეს მთელი საქართველო აღნიშნავს და ამ საქმეში არც ჩვენი მუნიციპალიტეტია გამონაკლისი. ეს დღე სათანადოდ აღინიშნა და ძალზე საინტერესო ღონისძიებაც ჩატარდა ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში, რომელსაც ორგანიზებას უწევდა ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნუნუ ბუჩუკური. მან ისაუბრა თამარ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის უდიდეს დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე.

ღონისძიებაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პატარა მკითხველებმა და მოწვეულმა სტუმრებმაც, რომლებიც საზოგადოების წინაშე წარსდგნენ ლექსებითა და სიმღერებით.

ლელა გუჩუკური

ასპინძის მუნიციპალიტეტს ცნობილი ველომოგზაური ნოდარ ბერიძე ესტუმრა

ამა წლის 11 მაისს მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ველოტურის – „საქართველო მშვიდობისათვის“ ფარგლებში, ველომოგზაური ნოდარ ბერიძე ასპინძის მუნიციპალიტეტს ესტუმრა.

ველომოგზაურს ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასპინძის საჯარო და სასპორტო სკოლის მოსწავლეები და დაბის მოსახლეობა შეხვდნენ.

ნოდარ ბერიძე ჯუმბერ ლეჟავას გზას სიმბოლურად აგრძელებს. ველოტურების მიზანი, ადამიანთა შორის კავშირების აღდგენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის პოპულარიზაციაა.

ველომოგზაურმა განვლილ მარშუტსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

ნოდარ ბერიძე

ველოტურმა სტარტი 2016 წლის 22 იანვარს აიღო და 26 მაისს, თბილისში დასრულდა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს.

„ინტერნეტი განვითარებისთვის“

20 მაისს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამის ფარგლებში დაბა ასპინძაში გაიმართა შეხვედრა პროექტის – „ინტერნეტი განვითარებისთვის'', ფარგლებში. შეხვედრაზე განიხილეს:

ციფრული წიგნიერება;
ციფრული მარკეტინგი;
ელექტრონული კომერცია;
ელექტრონული მმართველობა.

მომავალში აღნიშნული პროექტის ფარგლებში მსურველები გაივლიან ტრენინგებს ელექტრონულ კომერციაში, შეძლებენ ჩაერთონ ფართოზოლოვან ინტერნეტში, განათავსონ თავიანთი ბრენდი და მომსახურება გაუწიონ ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო პლატფორმაზე, დაამზადონ საკუთარი ვებ-გვერდი.

აღნიშნულ შეხვედრას მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

„გაქცევები“

„წინაპარს ჩვენსას სისხლში უვლია,
სისხლის წვიმები თავზე გვესხმოდა,
მესხობა ჩვენთვის ქრისტეს რჯულია,
ჯვარზე გაკვრაა ჩვენთვის მესხობა“.

გოგიტა მელიქიძე

XVI საუკუნის მეორე ნახევარში მესხეთს ოსმალები დაეპატრონენ. დაპყრობილ ტერიტორიაზე თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წესები დააკანონეს, რაც ადგილობრივთათვის ეროვნული თვითშეგნების მოსპობას და სულიერ გადაგვარებას ნიშნავდა. დამპყრობლებმა ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს. ოსმალთა მრავალწლიანი ბატონობის წნეხმა, მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი, „ალაჰის მცველებად“ გადააქცია, რაც შემდეგში ჩვენი ეროვნული ტრაგედიის მიზეზი გახდა.

ოსმალეთის იმპერია ყოველთვის ცდილობდა, მისი მოსაზღვრე ქართული რეგიონის – მესხეთის სრული ანექსია მოეხდინა, რისთვისაც არ იშურებდა ძალ-ღონეს და ეძებდა საამისოდ ხელსაყრელ მომენტს. უკანასკნელ პერიოდში ასეთი მომენტი XX საუკუნის 20-იანი წლები იყო, რაც კარგად გამოიყენეს კიდეც.

ამჯერად ჩვენი საუბრის თემა გახლავთ 1918 წლის ოციან წლებში მესხეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების ქრონიკა, რომელიც ისტორიაში „გაქცევების“ სახელითაა ცნობილი. მაშინ ოსმალეთიდან შემოჭრილმა მარბიელებმა, ადგილობრივი გამაჰმადიანებული თემის მონაწილეობით, სამცხე-ჯავახეთში მოაოხრეს არაერთი სოფელი. ილაჯგაწყვეტილმა ქრისტიანულმა მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს. ვინც ვერ მოასწრო გახიზვნა, დიდი ნაწილი ადგილზე დახოცეს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშში „თათრებმა (ადგილობრივები მაჰმადიანებს თათრებს უწოდებენ) ნამდვილი სასაკლაო მოაწყეს. დატყვევებულ ქართველებს ორმო ამოათხრევინეს და შიგ ცოცხლად დამარხეს. ტყვეების ნაწილი ჰასან ბეგის (ტოლოშის ბატონი იყო) ბრძანებით უნდა დაეწვათ, ამ დროს შალოშეთელი გამაჰმადიანებული ბეგი, გვარად მაჩაბელი, მოსულა და შეუტყობინებია, ქართული ჯარი შემოვიდა და განზრახვაზე ხელი აიღეო. ასე გადაურჩენია ის ტყვეები“.

გადმოცემით, გახიზნულმა მოსახლეობამ, ძირითადად ბაკურიანის ტყეებს შეაფარა თავი. ღია ცის ქვეშ დარჩენილი უმწეო ადამიანების უმრავლესობა სიცივემ, შიმშილმა და ავადმყოფობამ შეიწირა. გაქცეულებიდან მხოლოდ მეათედიღა დაუბრუნდა საკუთარ კერას *(თ.იველაშვილი, „1918 წლის ბათუმის კონფერენციის ხელშეკრულება და სამცხე-ჯავახეთის საკითხი“, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, N5 (221), გვ.7,თბ., 2017წ.).* ტოლოშელი ლონგინოზ მელიქიძის მრავალსულიანი ოჯახი, მეზობელ სოფელ ალანძიაში შეუფარებიათ თარაქმებს. მთხრობელის ინფორმაციით „თათრები თარაქმებს არ ერჩოდნენ. მანდ ქართველი ქალი ყოფილა გათხოვილი, ანა ბაჯიას ეძახოდა ლონგინოზ პაპაი (ბაჯი დას ნიშნავს). თათრებ ლონგინოზაი უნდა მოეკლათ თურმე და მისი უფროსი გოგო ტასოი, ძაან ლამაზი ყოფილა, გაეტაცნათა. როცა უძებნიათ მდევრებს ანა ბაჯიაი, ზღურბლზე გადასდგომია, აქ არავინ არიო და გაურეკია თათრები. მარა მეორეთ გაქცევებზე ლონგინოზ პაპაი ქართლში თუ იმერეთში წასულა ოჯახით ამილახვრებთან. ტასოი, თათრებ რო არ ჩავარდნოდა ხელში, ხაშურში გაუთხოვებიათ ლაცაბიძეებში. ლონგინოზ პაპას ორი შვილი, პატარები, ოლღაი და ირაკლი მუცლის ტიფით დახოცია.“

მოგონებებში გაცოცხლებული ქრონიკებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი სისხლიანი ეპიზოდი, რომელიც სოფელ ზველში მოხდა: „თათრებ ხელ-ფეხ შეკრული ტყვეები მწკრივზე დაუყენებიათ. წინა კაცისთვის გულში უსროლიათ შაშხანა და სეირონდნენ, რამდენ კაცში გაივლიდაო ერთი ტყვია“.

არანაკლები სისასტიკე ახსოვს ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდას: „სოფელი რო გახიზნულა, მოხუცი და ფეხმძიმე ქალი დარჩენილან, ვერ გაუსწრიათ. სოფელი რო დაბრუნებულა გაქცევებიდან, ეს ქალიც და მოხუციც ყელგამოჭრილი უნახიათ. თავქვეშ დაკლული ძაღლი ამოედოთო“.

მარბიელ ბანდებს ვერც ქრისტიანთა ქონება გადაურჩა. უმოწყალოდ ძარცვავდნენ გაქცეულთა სამოსახლოებს. მათი სამიზნე ძირითადად ძვირფასი ნივთები იყო. თათარ მარბიელებს, ადგილობრივები „ხუჟანებსაც“ უნოდებდნენ, რაც უწესრიგოდ, ხარახურად თავმოყრილ ხალხს ნიშნავს. *(გ.ზედგინიძე, „ჯავახური ლექსიკონი“).* „ხუჟანებს“ აქტიურად მხარში ედგნენ მათ მიერვე წაქეზებული სეპარატიზმის იდეებით შეპყრობილი ადგილობრივი გამაჰმადიანებული ბეგები. ამ მხრივ, აქტიურობით გამოირჩეოდა ვინმე სერვერ-ბეგი, რომელმაც ჯერ კიდევ 1917 წლის მიწურულს, რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, 11 ათასი მუსლიმის შეიარაღების ორგანიზება უზრუნველყო *(რ.ბერიძე, „ხერთვისი – სამხრეთ საქართველოს კარიბჭე“, „ლიტერატურული მესხეთი“, N3 (123) ,გვ.4, თბ., 2009 წ.),* ხოლო 1918 წლის 12 თებერვალს მისი ხელმძღვანელობით ახალციხე თურქთა ჯარმა დაიკავა *(ხ.ახვლედიანი, „სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, გვ.248-256, ბათუმი, 1956წ.).* გამაჰმადიანებული ქართველების მონაწილეობა თანამოძმეთა სისხლისღვრაში დრამატულადაა გაცოცხლებული ხალხურ პოეზიაშიც:

ტ. მელიქიძე მეუღლესთან და შვილთან

ვზივარ და ჩონგურს ვამღერებ
ტკივილის გასაქარადა,
შემოგვესია თათარი,
შინ შემოგვეჭრა ძალადა,
შეხედავ,ზოგი ქართველს ჰგავს,
ქართველი არის გვარადა,
მაგრამ ხმალს ღესავს ურჯულო,
რჯულიანთ მოსაკლავადა. *(„მესხური ფოლკლორი“, გვ.673, თბ., 2015 წ.).*

მარბიელების სისასტიკე ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, მათი მიზანი იყო ქრისტიანი მოსახლეობის განდევნა და მხარის ოსმალეთთან მიერთება.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში ოსმალო დიპლომატებსა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის შედგა საზავო მოლაპარაკება, *(ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა, 1918 წლის 9 აპრილს,რომელიც აერთიანებდა საქართველოს აზერბაიჯანსა და სომხეთს).* ოსმალური პროექტის მიხედვით, შეხვედრა მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის საზღვრების გამიჯვნას და, მათ შორის, „კეთილმეზობლური“ ურთიერთობების ჩამოყალიბებას. პროექტის დასკვნითი მუხლი ითვალისწინებდა ოკუპირებული ტერიტორიების ოსმალეთისათვის დაკანონებას, რასაც, ბუნებრივია, არ დაეთანხმა მოლაპარაკების მონაწილე მეორე მხარე. აი რას წერს ამის შესახებ შეხვედრის ერთ-ერთი ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი: „ყველაზე შთამბეჭდავი იყო თურქეთის ახალი ტერიტორიული მოთხოვნები, პროექტში აღნიშნული საზღვრები ნიშნავდა საქართველოს იმ ძველი (მოგვიანებით ისლამიზებული) ოლქების ჩამოცილებას, რომელიც რუსეთმა შეიძინა 1828 წელს ადრიანოპოლის ზავით და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ყოფილ თბილისის გუბერნიასთან: ლაპარაკი იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზე“ *(ზ.ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, გვ. 59, თბ., 1991წ.).* საბოლოოდ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, რამაც ოსმალური მხარის გაღიზიანება გამოიწვია და ამავე წლის 26 მაისს მათ ამიერკავკასიის ფედერაციის დედაქალაქ თბილისს 72 საათიანი ულტიმატუმი წაუყენეს თავიანთი მიზნების დასაკმაყოფილებლად *(დასახ.ნაშრ. გვ.76).*

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა *(ზ.აბაშიძე,მ.ბახტაძე,ო.ჯანელიძე, „საქართველო და ქართველები“, გვ. 555,თბ., 2015 წ.).* ამიტომ ქართულ მხარეს ოსმალეთის მიერ წაყენებულ ულტიმატუმზე პასუხის გაცემის ვალდებულება, შეიძლება ითქვას, გადაუვადდა გარკვეული დროით.

ოსმალების მიერ ოკუპირებულ სამცხე-ჯავახეთს, ბუნებრივია, ქართული მხარე ვერ აკონტროლებდა. რეგიონში სიტუაცია რამდენიმე თვეს კრიტიკული იყო. 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისსა და თურქეთს შორის მუდროსში დაიდო დროებითი ზავი, რომლის თანახმადაც თურქეთმა დაკავებული ტერიტორიებიდან გაიყვანა თავისი სამხედრო შენაერთები.

„გაქცევების“ რამდენიმეთვიანი მძიმე პერიოდი სავალალო შედეგებით დასრულდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, დიდი იყო მატერიალური ზიანი, ასევე ქრისტიან და გამაჰმადიანებულ ძმებს შორის გამყოფი ხაზი კიდევ უფრო გაფართოვდა, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა მხარის შემდგომ დემოგრაფიულ-სოციალურ და კულტურულ განვითარებაზე.

მთხრობელთა სია:

ავთანდილ ვასილის ძე მელიქიძე,
84 წლის,სოფ.ტოლოში, 2004 წ.
ფოფალა დავითის ასული ზედგინიძე,
78 წლის, გამოთხოვილი სოფ.ზველიდან, სოფ ტოლოში 2004 წ.
დავით პავლეს ძე მელიქიძე,
80 წლის, სოფ.ტოლოში, 2005 წ.
ნიკოლოზ სპირიდონის ძე მელიქიძე,
78 წლის, სოფ.ტოლოში, 2007 წ.
მარუსა ეგნატეს ასული მელიქიძე,
90 წლის, სოფ ტოლოში, 2007 წ.
გიორგი იპოლიტეს ძე დავლაშერიძე,
87 წლის,სოფ.ტოლოში, 2014 წ.
ნათელა მილენტის ასული ინასარიძე,
72 წლის, სოფ.ტოლოში, 2018 წ.
მიხეილ აბესალომის ძე ხმალაძე,
83 წლის,სოფ.ტოლოში, 2018 წ.
სოფიო თევდორეს ასული ინასარიძე,
83 წლის, გამოთხოვილი ახალციხის რ-ნის სოფ.ანდრიანწმინდიდან, სოფ ტოლოში, 2018 წ.

ელდარ ზაზაძე

„ლიკნო. ვრ ლოიყვრგრი“!

ნეტაი ჩემი ქვეყანა

აყოვდა ირგვლივ ყოველი,
ფერი იცვალა დღემაო,
ქვემოდან ხევი ბობოქრობს,
ექო გამოსცა კლდემაო.

ნაირ-ნაირი ყოილნი
გაშლილან მინდორ-ველადა,
ზეიდან აქოჩრილი ტყე
დაგყურებს საშურველადა.

ტყით მონაბერი ნიავი,
გულს სალბად მოგეფინება.
ფრინველთ საამო ჭიკჭიკით
უნებურ ჩაგეძინება.

ნეტაი ჩემი ქვეყანა
ღმერთმა ჰქნას, ისე ჰყვაოდეს,
რომ მისი ცქერით ქართველნი
ვლაღობდეთ, გულით ვხარობდეთ!

მთქმელი ანა ნაზღაიძე,
სოფელი ორგორა

სპორტი

გამარჯვებას გილოცავთ, ტოლოშელებო!

ქ.თბილისში სპორტის აკადემიის სტადიონის ღია მოედანზე ჩატარდა ,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა – 2018''-ის აღმოსავლეთის ზონის ჩემპიონატი გეზრბენში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ საქართველოს ექვსი რეგიონი, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელით ასპარეზობდა სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი.

ტურნირში აღნიშნულმა გუნდმა წარმატებით და დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი და გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონი.

გამარჯვებულ გოგონათა გუნდი აღმოსავლეთ საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიადის დასკვნით (ფინალურ) ეტაპზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებას ულოცავს სოფელ ტოლოშის გოგონათა გუნდს და უსურვებს წარმატებებს

მადლობა

ღმერთმა დაგლოცოთ, ბატონო თამაზ!

ამ გაზაფხულზე, სისხლძარღვთა დაავადების გამო, ოპერაციის გაკეთება მომიხდა. ქირურგმა მირჩია, ნაოპერაციების შეხორცების შემდეგ, კარგი იქნებოდა თუ ათიოდე აბაზანას მივიღებდი ადგილობრივ ბალნეოლოგიურ კურორტზე. ასეც მოვიქეცი. ამას წინათ, ექიმის რჩევის გასათვალისწინებლად, კურორტ „ასპინძას“ მივაშურე, სადაც მისი დირექტორი თამაზ ჩიგოგიძე შემხვდა. ვიდრე რიგი მომიწევდა, აბაზანის მისაღებად, ერთმანეთი მოვიკითხეთ, ვისაუბრეთ და, როგორც კი შეიტყო ჩემი ავადმყოფობის ამბავი, თანამშრომლები გამოიძახა და გააფრთხილა – ნოდარის, რამდენი აბაზანაც არ უნდა დასჭირდეს, თანხა არ გადაახდევინოთო.

მართალი რომ ვთქვა, თავი უხერხულად ვიგრძენი. ბატონმა თამაზმა კი დაჟინებით მითხრა, – ნუ გეუხერხულება, ამაზე ერთი წამითაც არ იფიქროო. და, მართლაც, ყოველივე ეს ჩემდამი ძალზე დიდი პატივისცემა იყო და მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის საშუალებით და უღრმესი მადლობა გადავუხადო მას ესოდენ დიდი თანადგომისათვის, საქმე მარტო აბაზანების მიღებაზე როდია, აქ მისმა ადამიანურმა ფაქტორმა მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება, რადგან, ჩვენ შორის კვლავ არიან ისეთი კეთილი და ყურადღებიანი ადამიანები, როგორიც ბატონი თამაზია, რომელიც მზადაა თანადგომისათვის.

ღმერთმა გვიმრავლოს ბატონ თამაზისნაირი ადამიანები!

ნოდარ ბერიძე,
პენსიონერი. დაბა ასპინძა

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია